NEA-ს დაკარგვა მხოლოდ დაფინანსების საკითხი არ არის. ეს სამოქალაქო საზოგადოებას აზიანებს.

16 მაისი 2025

ფილიპ კენიქოთი

პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იდეოლოგიებში, კულტურასა და მეცნიერებაში ათწლეულების ისტორიის მქონე ორპარტიულ სტაბილურობას არღვევს.

1965 წლიდან – მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ხელოვნების ეროვნული ფონდი დაარსდა, შეერთებულ შტატებში ხელოვნებისადმი ინტერესმა განსაკუთრებულად იფეთქა. ტრადიციული, არაკომერციული თეატრის აუდიტორია 1,500 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ოპერის დამსწრეთა რაოდენობა – ექვსჯერ.

NEA-ს მიერ ჩატარებული სტატისტიკური კვლევების მიხედვით, 1989 წლისთვის ხელოვნების დარგისადმი კერძო ფილანთროპიული მხარდაჭერა 44 მილიონი დოლარიდან – 7,5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

ხელოვნებისადმი ინტერესისა და ჩართულობის ზრდასთან ერთად, ტერმინ ხელოვნების მოცულობაც გაფართოვდა, რამაც NEA კრიზისის ზღვარზე მიიყვანა.

კონსერვატორი კრიტიკოსების მიერ შეურაცხმყოფლად, ან უხამსად მიჩნეულ ნამუშევრებთან დაკავშირებით, წლების განმავლობაში მიმდინარე დავის შემდეგ, იმ მცირერიცხოვანი პერფორმანს არტისტების გარშემო, რომლებიც მარგინალურად შერაცხილი მათი შემოქმედების ღირსეული მხარის წარმოჩენას, საზღვრების გარღვევას, რთულ თემებთან შეჭიდებას და ნორმის ფარგლებს გაცდენას ცდილობდნენ, 1990 წელს, კონგრესში დაპირისპირებებმა იფეთქა.

NEA გადარჩა, მაგრამ ფედერალური დაფინანსების მიმართ კონსერვატორული მიდგომების გამზიარებელი გახდა. ფონდმა მნიშვნელოვანწილად შეწყვიტა ინდივიდუალური მხატვრებისთვის გრანტების გაცემა, მომდევნო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ხელოვნების სახელმწიფო დაფინანსების მასშტაბი გაიზარდა, ფედერალურ დონეზე გავრცელდა და მცირე და საშუალო ორგანიზაციების გრანტებზე ფოკუსირებული გახდა. ადგილობრივ დონეზე მხარდაჭერის მოპოვების ხარჯზე ფონდი გადარჩა როგორც ლურჯ, ასევე წითელ შტატებში.

თუმცა, აპრილში, ათწლეულების ისტორიის მქონე ტენდენცია დაასრულა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ეროვნული ფონდის განცხადებამ იმის შესახებ, რომ NEA-სთან ერთად ტრამპის ადმინისტრაციის პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე კაპრიზულ პუნქტს – „ამერიკელი გმირების ეროვნული ბაღის“ პროექტს განახორციელებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ NEA-ს ბიუჯეტიდან დაახლოებით 17 მილიონი დოლარი მსხვილი გრანტების სახით, ინდივიდუალურ არტისტებზე გაიცემა, საშუალოდ 600 000 დოლარი თითოეულზე, რის სანაცვლოდაც მათ თეთრი სახლის მიერ არჩეული ცნობილი ამერიკელების ქანდაკებების შექმნა დაევალებათ.

შედეგად, ხელოვნების სფეროს დაფინანსების სამი ძირითადი და სადავოდ კონსერვატორული პრინციპი მოქმედებას წყვეტს: NEA ხდება კონცენტრირებული მცირე რაოდენობით ინდივიდუალური არტისტებისთვის მსხვილი გრანტების გაცემაზე, თუმცა კრეატივისა და შემოქმედებითი დამოუკიდებლობის მკაცრი კონტროლის პირობით; ნამუშევრების სტილი აუცილებლად უნდა იყოს კლასიკური და არავითარ შემთხვევაში აბსტრაქტული, ან მოდერნისტული, თანაც აუცილებელია კონკრეტული პერსონების მაქსიმალურად რეალისტურად გამოსახვა.

მეორე საპრეზიდენტო ვადის დასაწყისშივე, იანვარში, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაუყოვნებლივ შეაჩერა სახელოვნებო სფეროში, ასევე, ჰუმანიტარული და კვლევითი მეცნიერებების სფეროში მოღვაწე არაკომერციული ორგანიზაციების რეალურად სტაბილური დაფინანსების პროგრამა.

სახელოვნებო სექტორში მისი სტრატეგია ისეთი ორგანიზაციების ხელში ჩაგდება და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება იყო, როგორიცაა კენედის ცენტრი, რომელსაც ახლა ის სრულად გააკონტროლებს. კენედის ცენტრისთვის შეთავაზებული ფედერალური ბიუჯეტი, რის შესახებაც გადაწყვეტილებას ტრამპი, როგორც საბჭოს თავმჯდომარე იღებს, 2026 წლისთვის, წლიური 43 მილიონი დოლარიდან – 257 მილიონ დოლარამდე გაიზარდა და კონგრესის დასტურს ელის.

რაც შეეხება ეროვნული გმირების პარკის იდეას, რომელიც ტრამპის კიდევ ერთი პირადი პროექტია და სათავეს ჯერ კიდევ მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის პერიოდიდან იღებს; ასევე, დაახლოებით 34 მილიონ დოლარს მიიღებს როგორც ხელოვნების, ასევე ჰუმანიტარული მეცნიერებების ფონდებიდან, რაც ამ ფონდების განულებას გამოიწვევს, თუკი ტრამპის მიერ შემოთავაზებული 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდება.

ამასობაში კი, ასობით, თუ არა ათასობით პროექტი და იდეა, რომელთაც მრავალსაფეხურიანი შემოწმებისა და დამტკიცების ეტაპები ჰქონდათ გავლილი, მოულოდნელად, ფედერალური მხარდაჭერის გარეშე დარჩნენ.

ამ თვეში გამოქვეყნებულ ინტერვიუებში, არაერთი საზოგადო მოღვაწე, რომლებიც NEH-ის დაფინანსების ადგილობრივი მუზეუმებისა და ისტორიული ღირსშესანიშნაობებისთვის გადანაწილებაზე მუშაობენ, შექმნილ ვითარებას უპრეცედენტო მოვლენად აფასებენ.

„ეს იყო გზა იმისათვის, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები ჩვენი საზოგადოების ყველა წევრისთვის ბევრად სახალხო და ხელმისაწვდომი გამხდარიყო“, – განაცხადა ლუიზიანაში NEH-ის ფონდის პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, მირანდა რესტოვიჩმა.

მისივე თქმით, ლუიზიანას აქვს მდიდარი კულტურა, მაგრამ ფინანსურად მდიდარი არაა, ამიტომაც ჰუმანიტარული გრანტების სიმრავლე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქებს მიღმა მოქმედი მცირე და საშუალო ორგანიზაციების გადარჩენისთვის, რომლებსაც მსხვილი გრანტების მოზიდვის რესურსი არ აქვთ.

„ლუიზიანაში მანქანით გადაადგილების დროსაც კი შესამჩნევია, რომ ადგილობრივი ბიბლიოთეკების, ან სკოლებისთვის დაფინანსების ოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ადგილობრივი საგადასახადო კოდექსის მიხედვით“, – აღნიშნავს ის.

ფედერალური ფული, რომელიც სახელმწიფო ჰუმანიტარული საბჭოს მიერ გაიცემოდა, კულტურის ხელმისაწვდომობის მიმართულებით უთანასწორობის აღმოფხვრას ხმარდებოდა.

„ამ გზით ჩვენი ხალხი დემოკრატიულად ანაწილებდა ინვესტიციას იმ იდეის დასაცავად, რომ ქვეყნის ყველა კუთხეს თავისი ისტორია აქვს, რომლის სხვებისთვის გაზიარება უნდა შეეძლოს, ამავდროულად კი, შინ ტრადიციების შენარჩუნებაზე ზრუნავდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაზეც აღნიშნული ცვლილება ზემოქმედებს გახლავთ ის, რომ ჩვენ მართვის სადავეებს ვკარგავთ“, – განაცხადა ჩაკ ჰოლმსმა, ალაბამას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ალიანსის აღმასრულებელმა დირექტორმა.

შტატის ჰუმანიტარულ საბჭოებს ევალებათ ფედერალური თანხები კერძო შემოწირულობებთან შეაფარდონ და ხშირად გაცილებით მეტს აგროვებენ, ვიდრე სავალდებულო ერთი-ერთთან შეფარდებაა.

ფედერალური დაფინანსების არსებობის გარანტია აუცილებელი პირობაა კერძო გრანტების მოსაზიდად.

იმავეს ამბობენ სახელოვნებო სფეროს ლიდერებიც: NEA-სგან მიღებულ მცირე გრანტსაც კი შეუძლია გაზარდოს ხელოვნების მცირე ჯგუფების ცნობადობა და პერსპექტივა სამომავლოდ კორპორაციული და კერძო მხარდაჭერის მისაღებად.

ახლა ამ სისტემის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი დგას – სისტემა, რომელიც მცირე ჯგუფების არსებობისა და გადარჩენისთვის გარანტიებს იძლეოდა, ახლა თავად დგას გამოცდის წინაშე კონგრესში, სადაც უნდა

გადაწყდეს, მიიღებენ თუ არა ტრამპის წინადადებას ორივე ფონდის გაუქმების შესახებ. NEA-სა და NEH-ის დაკარგვა და მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მომსახურების ინსტიტუტის გაუქმება, გაცილებით დიდი ზარალის მომტანია, ვიდრე ხსენებული მწირი თანხები.

სასწორზე დგას საპროექტო წინადადებების განხილვის, ადგილობრივი პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ფორმირების მთელი სისტემის არსებობა. ზარალი საგრძნობი გახდება მთელს სამოქალაქო საზოგადოებაში, რაც შესაძლოა იყოს კიდეც ადმინისტრაციის ძალისხმევის მიზანიც – ხელი შეუშალოს იმას, თუ როგორ უჭერს მხარს ქვეყანა იდეებსა და შემოქმედებითობას არაკომერციულ სექტორში.

დასავლეთ ვირჯინიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის, ერიკ ვაგონერის აზრით, ეს შესამჩნევი ზიანის მომტანი იქნება ადგილობრივი იდენტობისა და თვითგამოხატვისთვის.

„მდგომარეობა, რომელშიც ახლა ვართ, აღწერილი აქვთ ადამიანებს, რომლებიც არ არიან ჩვენ შორის, სიტუაციას გარედან აკვირდებიან და ხშირად ამ ადგილისა და მისი მოსახლეობის შესახებ ანალიტიკურ და დისტანცირებულ ხედვას გვთავაზობენ“, – აცხადებს ვაგონერი.

NEH-ის დაფინანსება ამის გამოსწორების საშუალება იყო, ის იდეების მქონე ადგილობრივებს პრობლემების მოგვარებაში ჩართულობის საშუალებას აძლევდა.

„NEH-ის, NEA-სა და IMLS-ის მსგავსი ჯგუფების თანაინვესტირების არარსებობის პირობებში, არ ვარ დარწმუნებული, რომ საჯარო გამოხატვის გზები და იმის გაზიარების შესაძლებლობა გვექნებოდა, თუ როგორია ცხოვრება აქ, ჩვენთან“.

როდესაც კლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში NEA-ს თავმჯდომარე ბილ აივის სთხოვეს წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ამერიკის კულტურული ლანდშაფტი დამფინანსებელი ფონდების გარეშე, მან სააზროვნო ექსპერიმენტი შემოგვთავაზა:

„შეეცადეთ დაინახოთ აწმყო ისე, თითქოს 1965 წელში ვართ. ჩვენ ვიქნებოდით პატარა ქვეყანა, რომლის კულტურაც განისაზღვრება ინდივიდების, მდიდარი პერსონებისა და კორპორაციული ლიდერების მიერ. ხელოვნება გააგრძელებდა არსებობას მხოლოდ დიდ ქალაქებში და მხოლოდ უდიდესი, უმდიდრესი სახელოვნებო ორგანიზაციები გადარჩებოდნენ.

არ იარსებებდა ლინდონ ჯონსონის ეპოქის იდეაც, რომელიც ხელოვნების თანასწორობასაც შეეხებოდა და რომლის მიხედვითაც ის გზატკეცილების, ხიდებისა თუ საავადმყოფოების მსგავსად თანაბრად უნდა მომსახურებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით მრავალფეროვან მოსახლეობას.

ფონდის მიერ გამოქვეყნებული NEA-ს ისტორიის თანახმად, 1965 წელს სახელმწიფო ხელოვნების მხოლოდ ხუთი სააგენტო არსებობდა, რომელთა ჯამური ბიუჯეტი 3 მილიონ დოლარზე ნაკლები იყო. თუ NEA გაუქმდება, გაურკვეველია, 56 ხელოვნების სააგენტოდან რამდენი გააგრძელებს ფუნქციონირებას იმის გათვალისწინებით, რომ მათი საქმიანობის დიდი ნაწილი ფედერალური თანხების განაწილებას ეხება. სახელმწიფო ხელოვნების სააგენტოების დაკარგვა ნიშნავს იმ პროგრამების დაკარგვას, რომლებიც ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ხანდაზმულობას, აქტიური და პენსიაზე გასული სამხედრო პერსონალის კეთილდღეობას, სოფლად სახელოვნებო განათლებასა და ეკონომიკურ განვითარებას ეხება. ჰუმანიტარული საბჭოების დახურვა შეაჩერებს ადგილობრივი ზეპირი ისტორიის პროექტებს, ლექციებს, „მოგზაურ“ გამოფენებს, დოკუმენტური ფილმების ჩვენებებს, კულტურულ ფესტივალებს, პანელ დისკუსიებსა და წიგნების პრეზენტაციების ფართო სპექტრს. სისტემა, რომელსაც შეიძლება კონსერვატიული სოციალიზმი ვუწოდოთ – ფედერალურ დონეზე თანხების შეგროვება ადგილობრივ დონეზე უთანასწორობის აღმოსაფხვრელად – დაიკარგება, რაც ყველაზე მეტად საზოგადოების უკიდურესად ღარიბ ნაწილს დააზარალებს.

აივი NEA-ს ძლიერი მხარდამჭერია, მაგრამ შიშობს, რომ ხელოვნების დამცველებისთვის შეიძლება უკვე დაგვიანებული იყოს ამჟამინდელ კლიმატში ფონდის შენარჩუნება.

„ხელოვნებისა და კულტურის სექტორმა, ფართო მასშტაბით, მათ შორის არაკომერციულმა და კომერციულმა ორგანიზაციებმა, ვერ შეიმუშავეს რეალური არგუმენტი კულტურის, როგორც სამოქალაქო უფლებისა და საზოგადოებრივი სარგებლის მომტანის დასაცავად“, – თქვა მან.

2009 წელს, ობამას ადმინისტრაციის დასაწყისში, NEA მცირე ხნით ყურადღების ცენტრში მოექცა, როცა გავრცელდა სატელეფონო ჩანაწერი, თუ როგორ ავალებდა მისი ახლადდანიშნული კომუნიკაციების დირექტორი, იოსი სერგანტი, ხელოვანებს, შეექმნათ ნამუშევრები, რომლებიც საზოგადოებრივი სამსახურის შესახებ ადმინისტრაციის მოწოდებას ასახავდა. ამან კონსერვატორი კრიტიკოსების აღშფოთება გამოიწვია. მათ ეს ფონდის პოლიტიკურ დღის წესრიგთან შესაბამისობაში მოყვანის მცდელობად შეაფასეს და ნაცისტურ პროპაგანდასაც კი შეადარეს.

დღეისათვის ის, რაც ფონდებისგან დარჩა, მკვეთრად პოლიტიზებულია და არა მხოლოდ ადმინისტრაციის პრიორიტეტების გავლენის ქვეშაა, არამედ კონკრეტულად პრეზიდენტის პირად ინტერესებს ემსახურება მისი ვიწრო ხედვის შესაბამისად – თუ როგორ აღიქვამს ის ამერიკის განსაკუთრებულობას, ისტორიას და რა შეხედულებები აქვს კულტურის მიმართულებით.

ფართომასშტაბიანი იდეები, რომლებიც არ მოწმდება, ან ვერ გაიარა ცენზურა, ხელოვნურად წამოიწევს წინ მაშინ, როდესაც ათწლეულების ისტორიის მქონე სისტემა, რომელიც იდეების დახარისხებაზე, გაუმჯობესებასა და პოპულარიზაციაზე მუშაობდა, განზე გაწეული ან კორუმპირებული ხდება.

ეროვნული გმირების პარკი? 2026 წელს დასრულდება. ალკატრასის ხელახლა გახსნა? ციხეების ბიურო უკვე მუშაობს ამ საკითხზე. ვაქცინები იწვევს აუტიზმს? აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები გახარჯავენ ჯანდაცვის გადაუდებელი პრიორიტეტებისთვის გამოყოფილ თანხებს, რათა ხელახლა შეისწავლონ მეცნიერების მიერ, ათწლეულების განმავლობაში მიღებული და დადასტურებული დასკვნები.

მასშტაბური, შეუმოწმებელი, თუნდაც პერვერსიული იდეები სწრაფად იკრებს ძალას. კულტურა ჯილდოვდება პოლიტიკური ლიდერების მცირე ჯგუფის იმპულსური ახირებების შესრულებისთვის. ამასობაში, ინგრევა კულტურისა და კოლექტიური საჭიროებების პრიორიტეტიზების მტკიცე ფუნდამენტი. ათწლეულების განმავლობაში, შეერთებული შტატები თავს ფუფუნების უფლებას აძლევდა და ძლიერ სამოქალაქო საზოგადოების ყოლას ისე იღებდა, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ახლა კი, შესაძლოა, გავიგოთ, რა მოხდება, როდესაც მას გამოაცარიელებ.

https://www.washingtonpost.com/entertainment/2025/05/16/nea-funding-cuts-arts-loss/?utm_source=chatgpt.com